განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის**

**„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ დასკვნა**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 20 იანვარი 4 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი

21 თებერვალი 2022

თბილისი 2022

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ეკონომიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ეკონომიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Economics |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0311 ეკონომიკა<br>Economics |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტირებული<br><br>28.06.2016 №24 |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ეკა გეგეშიძე,** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **მარინა ჩავლეიშვილი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის " ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამას **28.06.2016 #24** გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. ამჟამად პროგრამა გადის **„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობას.**
სწავლების ორგანიზების თავისებურებები: პროგრამა 240 კრედიტიანია:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 120 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 70 კრედიტი, პრაქტიკა 10 კრედიტი; ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 40 კრედიტი)
- თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი
- თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 25 კრედიტი
- დამატებით პროგრამა (Minor) 60 კრედიტი ან თავისუფალი კრედიტები – 30 კრედიტი და 30 კრედიტი (გაიძლიეროს სპეციალობის კომპეტენციები სპეციალობის არჩევითი საგნებით),

**„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა.**

**პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 2.2 სტანდარტია მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი საბაკალავრო ნაშრომი გახდეს სავალდებულო კურსი.

- სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის " ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამას 28.06.2016 #24 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. ამჟამად პროგრამა გადის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობას.<br>პროგრამის მიზანია:<br>ეკონომიკის ძირითადი პრინციპების ფართო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე კონკურენტუნარიანი ბაკალავრის მომზადება, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს:<br>1. ეკონომიკის სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენას და იდენტიფიცირებას;<br>2. ეკონომიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრას; ეკონომიკური მოდელების გამოყენებით ეკონომიკური პროცესების შეფასებას.<br>პროგრამაში გამოყოფილია ძირითადი მიზანი, რომელიც ემსახურება ბაკალავრი ხარისხის მქონე პირის მომზადებას "ეკონომიკის" სპეციალიზაციით.<br>პროგრამაში გათვალისწინებულია სფეროს განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა, პროგრამის დადარება განხორციელდა ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იუტას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებთან.<br>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.<br>საბაკალავრო პროგრამის მიზანში წარმოდგენილია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციები, რომლებიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ.<br>სწავლების მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს.<br>პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამაზე ინფორმაცია სრულად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, სადაც დაინტერესებული პირი ამომწურავად შეიძლება გაეცნოს პროგრამას, კურიკულუმის, საგნების აღწერას, სასწავლო განრიგს, მიღების წესს. იქვეა წარმოდგენილი სხვა პირობებიც.<br>პროგრამის მიზნები არ შეცვლილა აკრედიტაციის შემდეგ, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ზოგადი და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უფრო დაკონკრეტდა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა";<br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში შედეგები კონკრეტული და მიღწევადია. შედეგები დაყოფილია 3 ჯგუფად: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი და გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების (20.09.2018) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

სწავლების შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს.

პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. უნივერსიტეტში მუდმივად ხდება პროგრამების განხორციელების პროცესისა და შედეგების შეფასება, რომელის საფუძველზეც ხორციელდება მისი შემდგომი განვითარება.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა ცოდნა და გაცნობიერების, უნარის და პასუხისმგებლობა, ავტონომიურობის მიხედვით მოდიფიცირება.

სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა";
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვა უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება. ასევე, ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე (რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე), რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს უსდ-ს ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შიდა და გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

თსუ-ში „ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზე კანდიდატისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის განსაზღვრულია გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა - კომპეტენციის ზღვარია 25%; უცხო ენა - კომპეტენციის ზღვარია 20%; მათემატიკა - კომპეტენციის ზღვარი 20%. 2021 წელს პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი (ადგილი) იყო - 45.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა";
- აბიტურიენტის ცნობარი 2021 https://edu.aris.ge/news/abiturientis-cnobari-2021.html
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://tesau.edu.ge/bakalavriati6

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის" (უნივეტსიტეტის აკადემიური საბჭოს ოქმი №6, 07.04.2020) შესაბამისად. პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით, დამატებითი პროგრამა/პროგრამები და თავისუფალი კრედიტები). პროგრამის **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს და ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამის დონეს. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის კომპონენტი მოიცავს 240 ECTS. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში კომპონენტები შემდეგნაირად არის განაწილებული: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 80 ECTS; უნივერსიტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები 30 ECTS; საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები 30 ECTS; ძირითადი სწავლო სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 40 ECTS; დამატებითი სპეციალობის/თავისუფალი სასწავლო კურსები - 60 ECTS.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მასში წარმოდგენილი დეტალური სფეროსა და მასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები მეტწილად ასახავენ სწავლის შედეგებს. ექსპერტთა მოსაზრებით **რეკომენდირებულია** პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს (0311 ეკონომიკა) სავალდებულო სასწავლო კურსების გაზრდა **(სწავლის სფეროს კლასიფიკატორის დოკუმენტში,**

**მუხლი 2, პუნქტი 5- დეტალურ სფეროში სწავლის სფეროების კლასიფიცირების პრინციპი მითითებულია: „საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია“).** წარმოდგენილ პროგრამაში ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი 80 კრედიტია, ამასთან, პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო არჩევით კურსებში დეტალური (ეკონომიკა 0311) სფეროს კურსები 20 კრედიტია და სხვა წარმოდგენილი სასწავლო კურსები არის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რომლებიც ნაწილობრივ ასახავენ ეკონომიკურ ანალიზს. არსებული პრობლემა შესაძლებელია გადაწყდეს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებით (წარმოდგენილი პროგრამა იძლევა ამის საშუალებას), კერძოდ, სასურველია განხორციელდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო კურსებისა და არჩევითი სასწავლო კურსების ოპტიმიზაცია, ასევე. პროგრამას დაემატოს ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსები (რომელსაც გადაწყვეტს შესაბამისი დეპარტამენტი და პროგრამის ხელმძღვანელები). ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული **რჩევები,** კერძოდ, სასურველია საბაკალავრო ნაშრომი იყოს სავალდებულო კურსი, ასევე, სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ძირითადად ადეკვატურია. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად. პროგრამა ხელმისაწვდომია და საჯარო ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის“ (უნივეტსიტეტის აკადემიური საბჭოს ოქმი №6, 07.04.2020) http://tesau.edu.ge/martvis-organoebi/akademiuri-saganmanatleblo-programebis-dagegmvis-shemushavebis-ganxorcielebis--ganvitarebisa-da-gauqmebis-instruqcia
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://tesau.edu.ge/bakalavriati6

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი საბაკალავრო ნაშრომი გახდეს სავალდებულო კურსი.

- ➢ სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსები ერთმანეთთან კანონზომიერ კავშირშია და ლოგიკური თანმიმდევრობით განაპირობებენ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, მათ გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცებას. წარმოდგენილი სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ ბაკალავრიატის საფეხურს. წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების სფეროს შესახებ სრულყოფილი ცოდნის მიღებას, პრობლემატიკის ანალიზს, კვლევითი უნარების გამომუშავებას, სტუდენტი შეიძენს აკადემიური პატიოსნების ღირებულებებს და განუვითარებს ცოდნის გაფართოების უნარს. წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული სასწავლო კურსებით მისაღწევი სწავლის შედეგი იძლევა

ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემული სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება სწავლის შედეგებს.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად სილაბუსის თემატიკის ადექვატურია, დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის მიღწევებზე, იძლევა და სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციას და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა, წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე, საჭიროდ მიიჩნია გარკვეული რჩევების მიცემა, კერძოდ,

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის სახით დაემატოს უცხოენოვანი და უახლესი ქართულენოვანი მასალები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მნიშვნელოვანი სტატიები, კვლევები).
- სასურველია დაზუსტდეს ძირითადი ლიტერატურა: ა. სავალდებულო სასწავლო კურსების „მიკროეკონომიკის შესავალი“ და „მიკროეკონომიკა“ (ინტენსიური კურსი) სილაბუსებში, კერძოდ, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ერთი და იგივე სახელმძღვანელო - მენქიუ გ., „ეკონომიკის პრინციპები“; ბ. სავალდებულო სასწავლო კურსის „მიკროეკონომიკის შესავალი“ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია „მიკროეკონომიკა“, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., და სხვა, თსუ, 2014 წელი, რომელიც პრაქტიკულად არ არის გამოყენებული წარმოდგენილი სილაბუსის დანართში. გამომდინარე აქედან, მისაღებია აღნიშნული ლიტერატურა გადავიდეს დამხმარე ლიტერატურის ნაწილში.
- სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსების (მაგალითად, „მიკროეკონომიკის შესავალი“, „მიკროეკონომიკა (ინტენსიური)“ კურსი და სხვა) შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების ჩამონათვალში თეორიული საკითხისა და ტესტების გვერდით წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული ამოცანებიც, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის სასწავლო კურსში პრაქტიკული უნარების განვითარებას.
- გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სასწავლო კურსის „მიკროეკონომიკა (ინტენსიური კურსი) სილაბუსში (გვ., 3), კერძოდ, შუალედური გამოცდის 70 ქულა შეიცვალოს 60 ქულით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №2);
- ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუქა (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №3);
- ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №1);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>➢ სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის სახით დაემატოს უცხოენოვანი და უახლესი ქართულენოვანი მასალები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მნიშვნელოვანი სტატიები, კვლევები).<br>➢ სასურველია დაზუსტდეს ძირითადი ლიტერატურა: ა. სავალდებულო სასწავლო კურსების „მიკროეკონომიკის შესავალი“ და „მიკროეკონომიკა“ (ინტენსიური კურსი) სილაბუსებში, კერძოდ, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ერთი და იგივე სახელმძღვანელო - მენქიუ გ., „ეკონომიკის პრინციპები“; ბ. სავალდებულო სასწავლო კურსის „მიკროეკონომიკის შესავალი“ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია „მიკროეკონომიკა“, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., და სხვა, თსუ, 2014 წელი, რომელიც პრაქტიკულად არ არის გამოყენებული წარმოდგენილი სილაბუსის დანართში. გამომდინარე აქედან, მისაღებია აღნიშნული ლიტერატურა გადავიდეს დამხმარე ლიტერატურის ნაწილში.<br>➢ სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსების (მაგალითად, „მიკროეკონომიკის შესავალი“, „მიკროეკონომიკა (ინტენსიური)“ კურსი და სხვა) შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების ჩამონათვალში თეორიული საკითხისა და ტესტების გვერდით წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული ამოცანებიც, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის სასწავლო კურსში პრაქტიკული უნარების განვითარებას.<br>➢ გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სასწავლო კურსის „მიკროეკონომიკა (ინტენსიური კურსი) სილაბუსში (გვ., 3), კერძოდ, შუალედური გამოცდის 70 ქულა შეიცვალოს 60 ქულით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე, მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.<br>პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილი სასწავლო შედეგების შესაბამისად. აღნიშნული კომპონენტი წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ასევე, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტის - პროფესიული პრაქტიკის - სახით. აღნიშნული სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს სპეციფიკური პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საფუძველს შეუქმნის კურსდამთავრებულს მოახდინოს რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტირება.<br>პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში მნიშვნელოვანია პროგრამაში წარმოდგენილი საწარმოო პრაქტიკის კურსი 10 (ECTS). რომელიც მოიცავს 15 კვირას, კვირაში 4 საათს. პრაქტიკის მიზანია სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კერძოდ, ფირმის/კომპანიის წინაშე მდგარი კომპლექსური პრობლემების ფორმულირების, კლასიფიცირების, მათ გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდებისა და ოპერატიული გადაწყვეტილებების გამოკვლევის, შერჩევის, მიზნებისა და კრიტერიუმების შეფასების უნარი. პრაქტიკის პროცესში სტუდენტი გამოიყენებს თეორიულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, გამოიკვლევს სამსახურში მუშაობის სპეციფიკასა და თავისებურებებს, გაეცნობა საქმის წარმოებას. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი მის მიერ შესწავლილი და შესრულებული სამუშაო აისახება პრაქტიკის დღიურში, რომელშიც ასახულია კვირის განმავლობაში გაწეული სამუშაოები. ასევე, ხორციელდება პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია.<br>პროგრამა, სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის **საბაკალავრო ნაშრომის** შესრულებას 10 (ECTS), რომლის შესრულების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა შვიდი სემესტრის ჩათვლით. ნაშრომის მიზანია სტუდენტმა შექმნას წერითი შემოქმედებითი ხასიათის ნაშრომი, სადაც გამოვლინდება და მოხდება სტუდენტის ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარების პროგრამის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დემონსტრირება. აღნიშნული ნაშრომი ახდენს სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკულ გამოცდილების სისტემატიზებას, ავლენს კვლევითი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის ცოდნასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. წარმოდგენილ პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი არჩევითი კურსია. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია იგი იყოს სავალდებულო კურსი **(აღნიშნული რჩევა იხ. ქვეკომპონენტში 2.2)** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;<br>○ საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესი, აკადემიური საბჭოს სხდომა, ოქმი№ 13 14.03 2018. http://tesau.edu.ge/martvis-organoebi/debulebebi<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://tesau.edu.ge/martvis-organoebi |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სწავლის პროცესში, პროგრამის კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, რომელიც შესაბამისად ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში: ლექციები ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით, წერითი, ზეპირსიტყვიერი, პრაქტიკული მუშაობის მეთოდები (პრეზენტაცია, მუშაობა onlile რეჟიმში), დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობა, ელექტრონული სწავლება (E-learning), ახსნა-განმარტება.<br>პროგრამის თითოეულის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში არის ტექნიკური ხარვეზი (გვ., 7), კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ნაცვლად უნდა ეწეროს ეკონომიკა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის გვ., 7, კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ნაცვლად უნდა ეწეროს ეკონომიკა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, სამართლიანია და შესაბამისია კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების" დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) შეფასების 100 ბალიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

